ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2709441

ნომერი: AR1421536

თარიღი : 11.07.2016

გაცემის თარიღი : 14.07.2016

გაცნობის თარიღი : 18.07.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნინო ჯავახიშვილის ქ. N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ფილიშვილი პ/ნ 59001037605
- გორი სტალინის გამზ. N 23 ბ. 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სამრეცხაო-ქიმწმენდა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1421536 11.07.2016 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.13.02.007.044 სამრეცხაო-ქიმწმენდას განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ საკუთრების დამადასტურებელ მოწმობაში – ამონაწერში საჯარო რეესტრიდან (სარეგისტრაციო #882016360536 09.06.2016) ფიქსირდება ვალდებულება – შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხი თავდაპირველად უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვოთ აღნიშნული ვალდებულების მოხსნა და წარმოადგინოთ განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, დამატებით გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად დამატებით უნდა წარმოადგინოთ ტერიტორიის გენგეგმა საპროექტო ობიექტის დატანით (სამრეცხაო ბოქსების მომსახურება არ უნდა აღიქმებოდეს ქუჩის მხრიდან დაცული უნდა იქნეს ჩაუხედაობის პრინციპი) და ნაკვეთზე სატრანსპორტო საშუალებების შესვლა–გამოსვლის სქემის ჩვენებით. ამასთან ტოპოგრაფიული გეგმა ხელმოწერილი უნდა იქნეს პასუხისმგებელი პირის მიერ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ განმცხადებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.